



ჩემი ამბავი

დოდო ჭანტურია -ალანია , 74 წლის, ქ. სენაკი

ადამიანი იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. და როცა ასაკში შევდივართ, მით უფრო ხდება ცვლილებები ჩვენს ორგანიზმში. ფიზიკური სისუსტე ფიტავს ძალებს. სარკეში ჩახედვისას ჩნდება ახალი ნაოჭები, თმის გაჭადრავენა. მრავალ შემთხვევაში არა გვაქვს ადრინდელი მეხსიერება, ხედვა და სმენა. სიბერეში სიცოცხლეს აუტანელს ხდის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, სტიქიური მოვლენები, ზოგჯერ სურსათისა და წამლის არაეფექტურობა, უკანონობის ზრდა, სიყვარულის განელება, ბანკის სესხები და კიდევ სხვადასხვა ფაქტორები.

სიცოცხლე და სიკვდილი ადამიანისათვის ღმერთისგან ბოძებული ორი სიკეთეა. მე მიყვარს სიცოცხლე და არა მსურს სიკვდილი, თუმცა სიკვდილი საშიში არ არის, თუ სიცოცხლეში არ ავცდები ჭეშმარიტების გზას. მეჩვენება თითქმის სწრაფად გაირბინა წლებმა და დავბერდი. გავხდი 74 წლის. ვამჩნევ, რომ ჩემი ქსოვილის უჯრედები იცვლებიან. არ ვარ ის, რაც ვიყავი ახალგაზრდობაში. იყო დრო, როცა ვფიქრობდი: არასოდეს არ დავიღლები, არასოდეს არ გავხდები ავად, არასოდეს არ დავბერდები. მაგრამ უფლის კანონს აბა სად გავექცეოდი. ამ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით ვიგონებ პოეტი აკაკი წერეთლის ლექსს “ჭადრა-ს”

ის აღარ ავარ, რაც ვიყავ
ძნელი ყოფილა ჭადრა,
ველარ გაჰკვივის თამამად
ჩემი დაფი და ნალარა.

გული არ იშლის გულობას
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე
ვარ ბევრი “ვაის” - მნახველი
და ბევრი “უის” - გამგონე.

მგონი, დამეთანხმებით იმაში, რომ ზოგი ადამიანი, რაც უფრო ბერდება, მით უფრო მეტად ხდება ღრმა აზრთა საგანძურის მფლობელი. ამაში მას ეხმარება განათლება, პროფესიონალიზმი, ზნეობა და ჭკუა. მან უკვე იცის: თანამედროვე კაცობრიობის

არსებობაში რა არის პროგრესული, მან უკვე იცის: სიკეთისა და გულისხმიერების გარდა, რომ ყველაფერი წარმავალია. ამიტომ მისი ფიქრი: ქვეყანაზე, ოჯახზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, გარემო პირობების დაცვაზე სამართლიანია.

პირადად მე, მიუხედავად ასაკისა, მიყვარდა და მიყვარს დღესაც წიგნების კითხვა. წიგნი ჩემი მეგობარია. ასევე მიყვარს საუბრები: ოჯახზე, სიყვარულზე, რწმენაზე, მეგობრობაზე, გონიერებაზე, იღბლიანობაზე. ვსაუბრობ წარსულში შრომაში მიღწეულ წარმატებებზე. ვიხსენებ კურიოზულ შემთხვევებს. ვარჩევ რა იყო კარგი, რა იყო ცუდი და ვაკეთებ შედარებებს გასულ და დღევანდელ მდგომარეობას შორის, მაგრამ მაინც ჩემთვის მნიშვნელოვანია მომავალი ღირსეული ადამიანების ხილვა.

რა მინდა მე:

1. მე მინდა ახალგაზრდებმა იცხოვრონ მშვიდობიან და სამართლიან ქვეყანაში, სადაც დაცული იქნება მათი სიტყვის თავისუფლება.
2. მინდა მათი დასაქმება და ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, იმისთვისაც საჭიროა საწარმოები.
3. მინდა მომავალმა თაობამ იცოდეს: წერა, კითხვა, სწორად მეტყველება, შეძლოს დამოუკიდებლად საღი გადაწყვეტილების მიღება, ჰქონდეთ ურთიერთგაგების ჩვევების უნარი.
4. იზრუნონ გარემო პირობების დაცვაზე
5. იყვნენ თვალ-ტანადნი, ნიჭიერნი, მამაცნი.
6. ჰქონდეთ ზნეობრივად მტკიცე ოჯახები.

ამ საკითხებზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ჯერ კიდევ არ გახუნებულა ასეთი ანდაზები:

- ❖ ცხოვრება დიდებული წიგნია, თუ მკითხველად ვარგისხარო.
- ❖ თანამედრობის სკამმა ჩაიცინა: ტანმძიმეს ვუძლებ, თავმსუბუქს ვერაო.

გადის დრო და აშკარად მიწევს დაბერების პროცესთან შეგუება. მინდა შემრჩეს მოთმინება, გამბედაობა და გონიერება, რათა ჩამოვაყალიბო ჩემი ამბავი:

- ვარ 74 წლის, ასაკის მიხედვით, პენსიონერი.
- მაქვს მუშაობის უწყვეტი სტაჟი ერთ საწარმოში 37 წელი.
- არჩეული ვიყავი სენაკის რაიონის დეპუტატად.
- მიღებული მაქვს მედალი შრომითი წარჩინებისათვის.
- მიღებული მაქვს მედალი შრომითი ვეტერანობისათვის.

1963 წელს დავამთავრეთ თბილისის მსუბუქი მრეწველობის საფეიქრო ტექნიკური დაუსწრებლად. ვმუშაობდი ხალიჩების საქსოვ კომბინატში. ჩემი აქტიურობისა და კეთილსინდიერი შრომის გამო, გადაყავდით მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: ვიყავი კონტროლიორი, ბრიგადირ-დამხარისხებელი, ხარისხის ოსტატი, ცვლის ოსტატი, ინჟინერ-ტექნოლოგი, გამომყვანი საამქროს უფროსი, სოც-შეჯიბრებების ინჟინერი და ბოლოს გობელინების მქსოველი. სადაც არ უნდა მემუშავა, ყველგან ვიყავი დისციპლინირებული, გამაჩნდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, ვიმსახურებდი ბრძანებით მადლობებს და ქების სიგელებს დირექციისაგან. წლების განმავლობაში ვიყავი პარტ/ორგანიზაციის მდივანი, რაც ხელს მიწყოდა საამქროს საჭირობოროტო საკითხების განხილვა-მოგვარებისთვის მეთანამშრომლად პროფკავშირებთან და დამეცვა მშრომელთა ინტერესები. განსაკუთრებით მიყვარდა და მიყვარს დღესაც ურთიერთობა ახალგაზრდობასთან. ჩემმა საწარმომ, სადაც ვიმუშავე 37 წელი 1994 წლიდან შეწყვიტა ფუნქციონირება. ის დღეს საერთოდ არ არსებობს. ასაკთან დაკავშირებით გავხდი პენსიონერი, მაგრამ ჩემი დამსახურება პენსიის თანხაში არ განისაზღვრა. ყველა ასაკის ადამიანისათვის პენსია დაკანონებულია 150 ლარი. რაც იწვევს ჩემს გულისწყრომას ამ სიბერეში. ამას წინათ გულისსისხლ-ძარღვების შევიწროებით გავხდი ავად. წამლებზე გადავიხადე 68 ლარი. თვალის წვეთებზე 10 ლარი. რა ამრჩება მე? ეს არის ბედნიერი სიბერე? 21 წელია სახლში ვზივარ, არავის არ გავხსენებია, მანამ, სანამ წითელმა ჯვარმა არ დაიწყო ფუნქციონირება. დიდი მადლობა მათ ჩვენი შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ამას ვწერ აპრილის სამ რიცხვში, გულახდილად უნდა მოგახსონოთ, რომ დაიწყება აპრილის თვე თუ არა, მაშინვე ჩემს მეხსიერებაში აღსდგება დაუვიწყარი 1989 წლის 9 აპრილი. ამ დღეს სამშობლოს თავისუფლებას ზვარაკებად შეეწირა 20 ადამიანი. მათ შორის იყვნენ 16 წლის გოგონები; ასევე არ მავიწყდება ჩემი საყვარელი დედაენის აღნიშვნის დღე 14 აპრილი. პოეტი შოთა ნიშნიანიძე ლექსში „გოგებაშვილის დედა ენა-ში“ ბოლო სტროფს ასე ამთავრებს:

„იდიდე წიგნო, იდიდე, ქართული სულის ლაზათო.

ღმერთი თუ არა ღმერთკაცი იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო“.

ამით შევწყვეტ ჩემს თავზე საუბარს და გადავალ დაბერებასთან დაკავშირებულ შესაცვლელ საკითხებზე:

1. პირველ რიგში შევცვლიდი პენსიის ოდენობას, იმ მოხუცებისათვის ვისაც ექნებოდა ჩემი მსგავსი მონაცემები, საჭირო დოკუმენტაციით. თუ არ ვცდები ეგ საკითხი საერთოდ არ არის შესწავლილი. მაგალითად ჩემს ქუჩაში 16 პენსიონერია, მაგრამ არც ერთი არ აკმაყოფილებს ხუთივე მონაცემებს.

2. მივცემდი დამსახურებულ ადამიანებს პლასტიკურ ბარათს აფთიაქებში წარსადგენად, რათა ნახევარ ფასში შეეძინათ წამლები.
3. შევისწავლიდი ყველა დაბერებული ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობებს, მოვითხოვდი ფსიქოლოგის დასკვნებს თითოეულზე და ამის საფუძველზე შევიმუშავებდი დახმარების პროგრამას.
4. სადღესასწაულო დღეებში გავითვალისწინებდი დაბერებული ადამიანების დასაჩუქრებას სურსათით ან სხვაგვარი საჩუქრებით.
5. გავაუქმებდი ბანკებში სახლის ან ბინის ჩადებას, სესხის აღების სანაცვლოდ. მოხუცისთვის როგორი საყურებელია ბავშვების თავშესაფრიდან გაგდება. თითქმის სიკვდილის ტოლფასია.
6. გავხსნიდი რაიონებში ისეთი ტიპის სასწავლებლებს, სადაც უფასო იქნებოდა სპეციალობის მიღება.
7. და ბოლოს უძლური ადამიანი ყოველთვის მოწყურებულია ცხოვრების კარგ პირობებს.

My Story

Dodo Tchanturia-Alania, 74, Senaki

Man is born, grows up, marries and dies. When he gets old, there are changes to his body and his whole being. Physical weakness depletes strength. When I look in the mirror I see new wrinkles and new grey hair. In most cases, you lose your memory, eyesight and the hearing you used to have. In becoming old, your life becomes unbearable because of your family's economic situation, natural disasters, ineffectiveness of medicines, unlawfulness, a lack of love, bank loans and many other factors.

Life and death are two things granted by God. I love life and do not want to die, though death is not to be feared if you haven't taken a wrong path in your life. I have a feeling that years have flown by and suddenly I became old. I became 74 years old. I am aware of how my skin cells have changed and I am not that person I used to be in my younger days. There were times when I thought that I would never get tired, sick or old. But you can't go against God's rules. In this regard, I remember Akaki Tsereteli's poem 'Grey Hair':

I am not that person I used to be
Grey hair is always hard,
My drum and pipe
Don't play boldly.
My heart is still singing
My body doesn't have enough strength to follow
I have seen many "Ohs!"
And hear many "Ouchs!"

I think you would agree that some people are wiser as they get older. Education, professionalism, morality and intelligence help them in this. They know what is progressive in modern society and that everything but kindness and generosity is slipping away. That's why thoughts on country, family, flora, fauna and environmental protection are justified.

I, personally, liked and still like to read books, despite my age. A book is my friend. I also like discussions on family, love, religion, friendship, intelligence and luck. I talk about successes I have achieved in my past work. I analyze what was good and bad, remember funny incidents, and compare the past and the present but the most important thing is to see dignified people in the future.

What I would like:

1. I would like our young generation to live in a peaceful and fair country where freedom of speech is observed.
2. I would like to see them employed and that technological achievements are effectively applied for, which enterprises are necessary.
3. I would like our future generation to know how to write, read, speak properly, and be able to independently make sound decisions and to understand each other.
4. I would like them to protect the environment.
5. I would like our young generation be good-looking, talented and brave.
6. I would like our young generation to have morally strong families.

I pay special attention to these issues as the following sayings are still relevant:

'A life is an interesting book if you are a good reader.'

'The Executives' chair says to itself with an ironic smile: I can bear a person that is heavy in weight, but not one that is light in brains'

Time passes and I have to get used to ageing. I would like to be tolerant, courageous and intelligent to tell my story:

- I am 74 and an old-age pensioner.
- I have a record of work that totals 37 years.
- I was elected as a Deputy of the region of Senaki.
- I have been granted an Order of Labour.
- I have been granted an Order for Long Work.

In 1963, I graduated from the Tbilisi Light Industry College. I worked at a carpet factory. For distinguished work, I was promoted to positions of a controller, a foreman, a quality control specialist, a shift foreman, an engineer-technologist, a head of workshop, an engineer of socialist competition, and, finally, a tapestry knitter. Wherever I worked I demonstrated a high level of responsibility and commitment and received many appreciation certificates from the administration. I was a Secretary of the Communist Party at our factory for many years. This position helped me to protect workers' interests and address many important issues together with trade unions. I especially liked and still like interactions with young people.

The enterprise where I worked for 37 years stopped its operations in 1994. It does not exist today. I became a pensioner but my merits at work are not reflected in the amount of pension I receive. Everybody gets the GEL 150 pension, which frustrates me. A while ago I got sick and had to buy medicines that cost GEL 68, eye drops cost GEL 10. What is left? Is this a happy old age? I have been at home for 21 years and nobody has remembered me except the Red Cross - many thanks to them for their assistance and for involving us in creative activities. I wrote this essay in April and it should not be a surprise that I remembered April 9, 1989 when 20 people died for the independence of our country. There were 16 young girls amongst them. I can't forget April 14, a day to celebrate our mother tongue day. And I will always remember the Georgian poet Shota Nishnianidze's poem on the importance of the native language and the ABC book.

Here I will stop speaking about myself and discuss issues related to ageing that should be changed:

1. In the first place, I would change the pension amount for pensioners with work experience similar to mine. If I am not mistaken, this issue has been never raised. For example, there are 16 pensioners living in my street but nobody meets the above-listed five characteristics??
2. I would give honoured people a 50% discount for medicines.
3. I would closely examine the living conditions of older people and look at psychologist's conclusions (opinion); based on the above I would develop a special assistance programme.
4. I would give gifts to older people on public holidays.
5. I would prohibit the use of houses and apartments as collateral for banks. It is so difficult for old people to see their children thrown out of their homes - it means nearly death to them.
6. I would open educational institutions in the regions where young people would be able to study and acquire professional training free of charge.
7. And, finally, a weak person always strives for good living conditions.